

თჰუ
ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს
სხდომის ოქმი №27

თბილისი

26 დეკემბერი 2014 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფ. ილონა საყვარელიძე, პროფ. ნინო ორმოცაძე, ასოც. პროფ. ელენე ნიკობაძე.

სტუდენტები: ინა დეისაძე.

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: გაიანე გრიგორიანი

დღის წესრიგი:

თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების დანიშვნის საკითხი (მომხ. პროფ. ი. საყვარელიძე).

მოისმინეს: თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის პროფესორის ილონა საყვარელიძის ინფორმაციით თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანს (ი.საყვარელიძეს) ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ყოფნის ვადა ეწურება 2015 წლის 16 თებერვლისთვის. საჭიროა დაინიშნოს ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები. მომხსენებელმა აუდიტორიას გააცნო მოსაზრება, რომ დეკანის არჩევნები დაინიშნოს 2015 წლის 8 იანვრიდან, კანდიდატების რეგისტრაცია დაიწყოს 2015 წლის 9 თებერვლიდან 13 თებერვლამდე და არჩევნები ჩატარდეს 2015 წლის 14 თებერვალს 14.00 საათზე.

აზრი გამოთქვას:

პროფესორმა ნ. ორმოცაძემ, პროფ. ტ. ზუბიაშვილმა, ასოც. პროფ. ელენე ნიკობაძემ.

ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. დაინიშნოს ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები 2015 წლის 8 იანვრიდან; ფაკულტეტის საბჭომ განცხადება გამოაქვეყნოს 2015 წლის 8 იანვარს;
2. კანდიდატების რეგისტრაცია ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობებზე განხორციელდეს 2015 წლის 9 თებერვლიდან 13 თებერვლის ჩათვლით, 17.00 საათამდე;
3. ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ჩატარდეს 14 თებერვალს 14.00 საათზე ფაკულტეტის საბჭოს მიერ;
4. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

სხდომის მდივანი:



ი.საყვარელიძე

გ. გრიგორიანი